

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 ივლისს დასრულებული წლისთვის

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.07.2020-ის თარიღისთვის

	განმარტებითი შენიშვნები	31 ივლისი, 2020	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	785	37,125	111,538
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში დღგ-ს ჩათვლით		3,022,849	3,608,036	4,226,964
გამოკლებული: გადავადებული დღგ		(77,313)	(187,108)	(387,036)
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	14	2,945,536	3,420,928	3,839,928
გაცემული სესხები	15	3,691,026	4,879,510	3,576,350
ლიზინგის აქტივის მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		-	-	30,877
სხვა აქტივები	16	317,640	576,606	855,744
საინვესტიციო ქონება	17	377,278	240,000	262,000
ძირითადი საშუალებები	18	333,070	355,106	377,818
არამატერიალური აქტივები		1,395	4,235	3,962
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	19	107	107	853,290
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		-	-	2,978
სხვა საგადასახადო აქტივი		630	-	54,691
სულ აქტივები		7,667,468	9,513,617	9,969,176
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებები		470,453	771,697	39,916
ლიზინგისთვის მიღებული ავანსები		-	-	28,525
გადასახდელი ობლიგაციები	20	324,955	382,318	90,809
მიღებული სესხები	21	1,512,412	3,096,372	4,738,339
საგადასახადო ვალდებულება		-	12,212	-
სულ ვალდებულებები		2,307,820	4,262,599	4,897,589
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	22	3,417,140	3,417,140	3,417,140
აკუმულირებული მოგება		1,264,803	1,156,172	988,742
რეზერვები		677,705	677,705	665,705
სულ კაპიტალი		5,359,648	5,251,017	5,071,587
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,667,468	9,513,617	9,969,176

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

გენერალური დირექტორი  ანუტი კუკავა

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.08.2019 – 31.07.2020 პერიოდისთვის

	განმარტებითი შენიშვნები	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი		871,676	1,145,092
საპროცენტო ხარჯი		(283,091)	(405,047)
საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	6	588,585	740,045
გაუფასურების რეზერვის ამობრუნება / (დარიცხვა)	7	(298,963)	(230,952)
წმინდა ფინანსური შემოსავალი, გაუფასურების დარიცხვის შემდგომ		289,622	509,093
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება		137,278	-
თანამშრომელთა ხარჯები	8	(268,997)	(368,568)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	9	(240,566)	(366,744)
წმინდა საკუროსო ზარალი	10	(29,538)	(102,530)
სხვა შემოსავალი, წმინდა	11	378,029	1,332,468
სხვა ხარჯები		(157,197)	(836,288)
მოგება დაბეგვრამდე		108,631	167,431
მოგების გადასახადის ხარჯი	12	-	-
წლის სრული შემოსავალი		108,631	167,431

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

გენერალური დირექტორი


აივტი კუკავა

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.08.2019 – 31.07.2020 პერიოდისთვის

	სააქციო კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 ივლისი, 2018	3,417,140	665,705	988,742	5,071,586
წლის სრული შემოსავალი	-	12,000	167,431	179,431
31 ივლისი, 2019	3,417,140	677,705	1,156,172	5,251,017
წლის სრული შემოსავალი	-	-	108,631	108,631
31 ივლისი, 2020	3,417,140	677,705	1,264,803	5,359,648

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

გენერალური დირექტორი  აიეტი კუკავა

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.08.2019 – 31.07.2020 პერიოდისთვის

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	1,070,038	2,919,627
ფულადი შემოსავალი კლიენტებისგან	301,857	1,515,413
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(211,137)	(605,247)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(197,472)	(277,878)
ფულის შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	963,286	3,551,914
გადახდილი გადასახადები	(261,861)	(605,189)
მიღებული პროცენტი	188,011	250,034
გადახდილი პროცენტი	(33,555)	(14,026)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(40,052)	(35,154)
წმინდა ფულის შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	815,829	3,147,580
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიაში	-	143,900
ფულადი შემოდინება / (გასავალი) გაცემული სესხებიდან	1,337,609	(732,984)
წმინდა ფულის შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან	1,337,609	(589,084)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(2,106,342)	(2,462,634)
გაცემული ობლიგაციები	(74,329)	(7,441)
	-	(154,734)
წმინდა ფულადი გასავალი ფინანსური საქმიანობიდან	(2,180,671)	(2,624,809)
წმინდა ფულის შემცირება	(27,232)	(66,313)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	37,125	111,538
საკურსო სარგებელი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	(9,108)	(8,100)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	785	37,126

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

გენერალური დირექტორი

აივტი კუკავა

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 ივლისს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში და მოქმედებს საქართველოს კანონების და რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია N47.57 კოსტავას ქუჩა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია **204496401**

კომპანიის მმართველობითი ორგანო არის საზედამხედველო საბჭო, რომლის წევრებიც არიან აიეტი კუკავა, სალომე თოდუა და ზვიად კუკავა. კომპანიის საქმიანობა ხორციელდება დირექტორის ხელმძღვანელობით. კომპანიის დირექტორი არის აიეტი კუკავა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფინანსური ლიზინგის გაცემა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია განაგრძობს საქმიანობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო და მათ არ აქვთ რაიმე მიზანი კომპანიის საქმიანობის შეწყვეტის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 ივლისი 2020	31 ივლისი 2019	31 ივლისი 2018
1 აშშ დოლარი / ლარი	3.0719	2.9507	2.4474
1 ევრო / ლარი	3.6086	3.2889	2.8591

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო ღირებულებით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

კლიენტებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ, ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც

მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები ბანკისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილ გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შეძენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიეკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

წარმოების, საიჯარო ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის ან ჯერ არ განსაზღვრული მიზნებისათვის მშენებლობის პროცესში მყოფი ქონება აისახება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებით, აღიარებული მატერიალური ფასეულობის გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ფასი მოიცავს

პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯებს, ადგილმდებარეობის მომზადებას, დამონტაჟების და აწყობის ხარჯებს, კვალიფიცირებადი აქტივების პროფესიულ მოსაკრებლებს, აგრეთვე სასესიო ხარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

ქონების და აღჭურვილობის კომპონენტის, რომელიც ცალკე აღირიცხება, შესაცვლელი ხარჯები კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტების საანგარიშო ღირებულებით. სხვა მომდევნო ხარჯი კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი წარმოიშობა ამ ხარჯებისგან. ყველა სხვა ხარჯი აღიარებულია შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საკუთრებაში არსებული მიწა არ ამორტიზირდება. ყველა სხვა აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

ცვლილებები წარდგენაში

2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

4	კორექტირებული 2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით	წინა წლის მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	37,125	(9,868)	27,257
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში დღგ-ს ჩათვლით	3,608,036	(1,138,000)	2,470,036
გამოკლებული: გადავადებული დღგ	(187,108)	164,752	(22,356)
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	3,420,928	(973,248)	2,447,680
გაცემული სესხები	4,879,510	266,575	5,146,085
ლიზინგის აქტივის მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	-	30,877	30,877
სხვა აქტივები	576,606	33,943	610,549
ძირითადი საშუალებები	355,106	490	355,596
არამატერიალური აქტივები	4,235	1	4,236
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	107	(107)	-
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	-	2,686	2,686
კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებები	771,697	(768,175)	3,522
ლიზინგისთვის მიღებული ავანსები	-	28,524	28,524
გადასახდელი ობლიგაციები	382,318	500	382,818
მიღებული სესხები	3,096,372	12,940	3,109,312
საგადასახადო ვალდებულება	12,212	(2,130)	10,082
აკუმულირებული მოგება	1,156,172	79,691	1,235,863

5	კორექტირებული 2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით	წინა წლის მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
მოგება ზარალის ანგარიშგების მუხლები			
საპროცენტო შემოსავალი	1,145,092	(177)	1,145,269
საპროცენტო ხარჯი	(405,047)	383	(405,430)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(366,744)	(33,989)	(333,804)
წმინდა საკურსო ზარალი	(102,530)	98	(102,628)
სხვა შემოსავალი, წმინდა	1,332,468	142,762	1,189,706
სხვა ხარჯები	(836,288)	(855)	(835,433)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6 საპროცენტო შემოსავალი, წმინდა

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი შედგება:		
ფინანსური ლიზინგიდან	156,626	1,139,490
გაცემული სესხებიდან	715,049	5,602
სულ ამორტიზირებული ღირებულებით რიცხული ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	871,676	1,145,092
საპროცენტო ხარჯი შედგება:		
მიღებული სესხებიდან	(283,091)	(405,047)
სულ საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით რიცხული ფინანსური ვალდებულებებიდან	(283,091)	(405,047)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯის გარეშე	588,585	740,045

7 გაუფასურების რეზერვის ამოზღუდვა / (დარიცხვა)

	გაცემული სესხები	კორპორატიული ფინანსური ლიზინგი	ავტო ლიზინგი	სულ
31 ივლისი, 2017	(63,603)	(193,671)	(52,306)	(309,580)
დარიცხვა / (ამოზღუდვა) წლის განმავლობაში	(399,547)	(103,371)	(3,433)	(506,351)
31 ივლისი, 2018	(463,150)	(297,042)	(55,739)	(815,931)
დარიცხვა / (ამოზღუდვა) წლის განმავლობაში	(489,833)	225,009	33,872	(230,952)
31 ივლისი, 2019	(952,983)	(72,033)	(21,867)	(1,046,883)
დარიცხვა / (ამოზღუდვა) წლის განმავლობაში	(209,274)	(59,793)	(29,896)	(298,963)
31 ივლისი, 2020	(1,162,257)	(131,826)	(51,763)	(1,345,846)

8 თანამშრომელთა ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	(267,457)	(343,123)
ბონუსები და პრემია		(9,765)
მომსახურების ხელშეკრულებით გაცემული ანაზღაურება	(867)	(1,869)
თანამშრომელთა დაზღვევა		(1,656)
თანამშრომელთა ტრენინგის ხარჯი		(180)
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხის აღიარება ხელფასად	(672)	(11,975)
სულ	(268,997)	(368,568)

9 ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	2020	2019
იჯარა	(56,645.83)	(71,249)
ავტო და უძრავი ქონების დაზღვევა	(56,671.81)	(109,591)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(19.70)	(472)
საბანკო ხარჯები	(40,052.26)	(36,169)
ცვეთა და ამორტიზაცია	(22,952.23)	(23,283)
კომუნიკაცია და კომუნალურები	(16,120.72)	(21,602)
საგადასახადო ხარჯი	(10,774.18)	(10,483)
მივლინება	(15.00)	(5,254)
რეკლამა	(149.26)	(2,453)
საკანცელარიო ხარჯი	(646.81)	(2,439)
სხვა	(36,517.80)	(83,750)
სულ	(240,566)	(366,744)

10 წმინდა საკურსო ზარალი

	2020	2019
რეალიზებული საკურსო მოგება	906	-
არარეალიზებული საკურსო ზარალი	(30,444)	(102,530)
წმინდა საკურსო ზარალი	(29,538)	(102,530)

11 სხვა შემოსავალი, წმინდა

	2020	2019
შემოსავალი ჯარიმებიდან	211,382	277,391
შემოსავალი დაზღვევიდან	50,107	65,060
საკომისიო შემოსავალი	330	6,228
პრობლემური აქტივების გაყიდვიდან მიღებული		142,256
ზარალი ფინანსური ლიზინგიდან ჩარჩენილი აქტივების რეალიზაციიდან	(6,278)	
სხვა	122,487	841,532
სულ	378,029	1,332,468

12 მოგების გადასახადის ხარჯი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიებს მოგების გადასახადის გადახდა უწევთ დივიდენდის გაცემის მომენტში. კომპანიების საგადასახადო და ფასს-ის მიხედვით მოგება ერთმანეთთან თანხვედრაშია, რის შედეგადაც არ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადი.

13 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 ივლისი, 2020	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
ფული სალაროში	586	9,871	11
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	113	27,254	104,062
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	86	1	7,465
სულ	785	37,125	111,538

14 ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში

	31 ივლისი, 2020	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
ფინანსური ლიზინგი			
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	3,552,764	3,838,988	4,579,745
გამოკლებული: გამოუმუშავებელი შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	(77,313)	(187,108)	(387,036)
	3,475,452	3,651,880	4,192,709
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(529,915)	(230,952)	(352,781)
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	2,945,536	3,420,928	3,839,928

15 გაცემული სესხები

	ვალუტა	31 ივლისი, 2020	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
გრძელვადიანი გაცემული სესხები:	ლარი	-	1,324,315	1,483,148
მოკლევადიანი გაცემული სესხები:	ლარი	3,383,836	3,257,452	2,537,648
მოკლევადიანი გაცემული სესხები:	აშშ დოლარი	307,190	297,743	18,704
		3,691,026	4,879,510	4,039,500
სესხების გაუფასურების რეზერვი		-	-	(463,150)
სულ გაცემული სესხები, წმინდა		3,691,026	4,879,510	3,576,350

16 სხვა აქტივები

	31 ივლისი, 2020	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
ფინანსური მოთხოვნები			
დებიტორული მოთხოვნები	13,907	167,081	250,525
	13,907	167,081	250,525
არა-ფინანსური მოთხოვნები			
დასრულებული ლიზინგიდან			
მისაღები დასაკუთრებული აქივები	217,080	291,883	309,991
მარაგები	22,597	23,021	11,728
წინანწარ გადახდილი გადასახადები	174	174	27,783
სხვა წინასწარი გადახდები	63,882	94,447	255,717
სულ	317,640	576,606	855,744

17 საინვესტიციო ქონება

	31 ივლისი, 2020	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
ნაშთი წლის დასაწყისში	240,000	262,000	60,000
მატება	137,278	-	21,186
მოგება / (ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან		(22,000)	180,814
ნაშთი წლის ბოლოს	377,278	240,000	262,000

18 ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	მიწა	საოფისე დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	მსხმოიარე ნარგავები	სულ
31 ივლისი, 2018	143,257	45,504	14,897	313,325	516,983
მატება	-	-	196	-	196
31 ივლისი, 2019	143,257	45,504	15,093	313,325	517,179
მატება	-	-	247	-	247
31 ივლისი, 2020	143,257	45,504	15,341	313,325	517,427
აკუმულირებული ცვეთა					
31 ივლისი, 2018	-	40,760	14,897	83,508	139,165
დარიცხული ცვეთა		2,014	6	20,888	22,908
31 ივლისი, 2019	-	42,774	14,903	104,396	162,073
დარიცხული ცვეთა		1,376	18	20,888	22,282
31 ივლისი, 2020	-	44,150	14,921	125,284	184,355
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 ივლისი, 2018	143,257	4,744	-	229,817	377,818
31 ივლისი, 2019	143,257	2,730	190	208,929	355,106
31 ივლისი, 2020	143,257	1,354	419	188,041	333,071

19 ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში

	სს ვესტა ჯგუფი	სალიზინგო კომპანიების ასოციაცია	სულ
31 ივლისი, 2018	853,290	-	853,290
მატება/შემცირება წლის განმავლობაში	(853,290)	107	(853,184)
31 ივლისი, 2019	-	107	107
მატება/შემცირება წლის განმავლობაში	-	-	-
31 ივლისი, 2020	-	107	107

20 გადასახდელი ობლიგაციები

ობლიგაციის მფლობელი	ობლიგაციის რაოდენობა	ნომინალური ღირებულება	ვალუტა	გამოშვების თარიღი	31 ივლისი, 2020	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
გიორგი ხაბელაშვილი	11	1,000	USD	13-03-18	-	2,893	26,921
ეკა ხატიაშვილი	7	1,000	USD	14-04-18	-	-	17,132
მაკა ნიქაბაძე	7	1,000	USD	24-05-18	-	20,655	17,132
დავით ენუქიძე	7	1,000	USD	28-06-18	-	20,655	17,132
ელოზბარ ხაჭაპურიძე	5	1,000	USD	28-06-18	-	-	12,237
ელნა კერსტინ ნილსონი	1000	100,000	USD	15-01-19	307,190	295,070	-
ანა ჯანგველაძე	10	1,000	USD	09/04/2018	-	29,507	-
ობლიგაციებზე დარიცხული %					17,765	13,538	255
სულ					324,955	382,318	90,809

21 მიღებული სესხები

	31 ივლისი, 2020	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
გრძელვადიანი მიღებული სესხები:			
სესხები ფიზიკური პირებისგან	-	-	433,190
სულ	-	-	433,190
მოკლევადიანი მიღებული სესხები:			
სესხები ბანკისგან	-	470,987	2,293,446
სესხები იურიდიული პირებისგან	-	-	146,844
სესხები ფიზიკური პირებისგან	1,247,459	2,531,468	1,631,736
სხვა	236,923	-	154,003
სესხებზე დარიცხული პროცენტი %	28,029	93,917	79,120
სულ	1,512,412	3,096,372	4,305,149
სულ	1,512,412	3,096,372	4,738,339

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის გამოსაშვებად დამტკიცდა 2021 წლის 11 მაისს დირექტორის რეზოლუციით.

სს “ალიანს ჯგუფი ლიზინგი”

გენერალური დირექტორი

ს. 474039

აიეტი კუკავა